

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იბოლია“

ფინანსური ანგარიშგება და აუდიტის დასკვნა

31 დეკემბერი 2020

შინაარსი

გვერდი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
განმარტებითი შენიშვნები	9-21

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „იბოლიას“ დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს:

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „იბოლიას“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული მოგება ზარალისა და სხვა სრული სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველის აბზაცში ასახული საკითხის შესაძლო ეფექტისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს სტანდარტი“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავაკვირდით საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და წლის ბოლოს სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და წლის დასაწყისში არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების რაოდენობის სისწორეში რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 1,207,685 ლარის (2019: 1,259,462) ღირებულებით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებთან დაკავშირებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაზე, ჩვენი მოსაზრება სასაქონლო მატერიალური ფასეულობების 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ და შესადრის ნაშთებზე მოდიფიცირებულია.

კომპანიამ ვერ შეძლო 2012 წლამდე შესყიდული ძირითადი საშუალებების შესყიდვის დოკუმენტების ჩვენთვის წარმოდგენა, რომელთა წმინდა საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 492,588 ლარს. აღნიშნულის გამო ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, იყო თუ არა რაიმე კორექტირება საჭირო ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასთან, ცვეთის ხარჯსა და დაგროვილ ცვეთებთან მიმართებაში. აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2020 წლის მმართველობის ანგარიშში მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა თქვენი ინფორმირება.

ჩვენ შევასრულეთ გარკვეული პროცედურები, რაც საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშის შესაბამისობის შესახებ დასკვნის შესადგენად, „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე -6 მუხლის მე -7 პუნქტთან მიმართებით და ანგარიში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვეცით ცალკე წერილით, რომელიც თარიღდება 2021 წლის 24 სექტემბრით.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის მეთვალყურეობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოიხსნა აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განხრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

კომპანიის მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

24 სექტემბერი, 2021

არესემ საქართველოს სახელით

გარიგების პარტნიორი: პაატა ჩუბინიძე

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

კომპანიის მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

24 სექტემბერი, 2021

არესემ საქართველოს სახელით

გარიგების პარტნიორი: პაატა ჩუბინიძე

RSM Georgia
S. Chubiniძე

შპს „იბოლია“
 ფინანსური ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	4	20,108,786	27,980,902
გაწეული მომსახურების და რეალიზირებული პროდუქციის თვითღირებულება	4	(20,048,846)	(25,826,661)
საერთო მოგება		59,940	2,154,241
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5 / 13	(1,118,784)	(1,078,646)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	6	36,864	116,108
ფინანსური ხარჯები	7	(103,999)	(146,709)
კურსთაშორის ცვლილებით გამოწვეული მოგება/(ზარალი), წმინდა		(10,621)	(28,338)
წმინდა, არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	8	462,168	179,995
მოგება დაბეგვრამდე		(674,432)	1,196,651
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(18,769)	(18,701)
წლის მოგება		(693,201)	1,177,950
სხვა სრული შემოსავალი			
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		(693,201)	1,177,950

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 24 სექტემბერს

გოდერძი მიქავა
 დირექტორი

დავით გოდერძიშვილი
 დირექტორი

ცისანა გამხიტაშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შპს „იბოლია“
 ფინანსური ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი			
გაწეული მომსახურების და რეალიზირებული პროდუქციის	4	20,108,786	27,980,902
თვითღირებულება	4	(20,048,846)	(25,826,661)
საერთო მოგება		59,940	2,154,241
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5 / 13	(1,118,784)	(1,078,646)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	6	36,864	116,108
ფინანსური ხარჯები	7	(103,999)	(146,709)
კურსთაშორის ცვლილებით გამოწვეული მოგება/(ზარალი), წმინდა		(10,621)	(28,338)
წმინდა, არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	8	462,168	179,995
მოგება დაზღვევამდე		(674,432)	1,196,651
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(18,769)	(18,701)
წლის მოგება		(693,201)	1,177,950
სხვა სრული შემოსავალი			
წლის სხვა სრული შემოსავალი			
სულ წლის სრული შემოსავალი		(693,201)	1,177,950

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 24 სექტემბერს

გოდერძი მიქაელა
 დირექტორი

დავით გოდერძიშვილი
 დირექტორი

ცისანა გამხიტაშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შპს „იბოლია“
 ფინანსური ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	8,409,610	8,687,975
არამატერიალური აქტივები	11	275,444	153,880
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,685,054	8,841,855
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	12	1,207,684	1,259,462
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	2,988,181	2,104,382
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	1,167,033	879,688
სულ მოკლევადიანი აქტივები		5,362,898	4,243,532
სულ აქტივები		14,047,952	13,085,387
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	1,235,652	1,235,652
გაუნაწილებელი მოგება		5,681,064	6,670,055
სულ კაპიტალი		6,916,716	7,905,707
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	17	3,091,237	3,320,000
ფინანსური ვალდებულებები	18	60,421	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,151,658	3,320,000
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	2,063,598	1,710,267
მიღებული სესხები	17	1,330,610	2,969
ფინანსური ვალდებულებები	18	412,127	118,816
საგადასახადო ვალდებულებები		173,243	27,628
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,979,578	1,859,680
სულ ვალდებულებები		7,131,236	5,179,680
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		14,047,952	13,085,387

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 24 სექტემბერს

გოდერძი მიქავა
 დირექტორი

დავით გოდერძიშვილი
 დირექტორი

ცისანა გამხიტაშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შპს „იზოლია“
 ფინანსური ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	8,409,610	8,687,975
არამატერიალური აქტივები	11	275,444	153,880
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,685,054	8,841,855
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	12	1,207,684	1,259,462
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	2,988,181	2,104,382
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	1,167,033	879,688
სულ მოკლევადიანი აქტივები		5,362,898	4,243,532
სულ აქტივები		14,047,952	13,085,387
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	1,235,652	1,235,652
გაუნაწილებელი მოგება		5,681,064	6,670,055
სულ კაპიტალი		6,916,716	7,905,707
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	17	3,091,237	3,320,000
ფინანსური ვალდებულებები	18	60,421	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,151,658	3,320,000
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	2,063,598	1,710,267
მიღებული სესხები	17	1,330,610	2,969
ფინანსური ვალდებულებები	18	412,127	118,816
საგადასახადო ვალდებულებები		173,243	27,628
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,979,578	1,859,680
სულ ვალდებულებები		7,131,236	5,179,680
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		14,047,952	13,085,387

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 24 სექტემბერს

გოდერძი მიქავა
 დირექტორი

დავით გოდერძიშვილი
 დირექტორი

ცისანა გამბიტაშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შპს „იბოლია“
 ფინანსური ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2018		1,235,652	5,698,115	6,933,767
წლის მოგება		-	1,177,950	1,177,950
გადახდილი დივიდენდი	15	-	(206,010)	(206,010)
31 დეკემბერი 2019		1,235,652	6,670,055	7,905,707
წლის ზარალი		-	(693,201)	(693,201)
გადახდილი დივიდენდი	15	-	(295,790)	(295,790)
31 დეკემბერი 2020		1,235,652	5,681,064	6,916,716

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 24 სექტემბერს

გოდერძი მიქაძე
 დირექტორი

დავით გოდერძიშვილი
 დირექტორი


ცისანა გამხიტაშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შპს „იზოლია“
 ფინანსური ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში


კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2018		1,235,652	5,698,115	6,933,767
წლის მოგება		-	1,177,950	1,177,950
გადახდილი დივიდენდი	15	-	(206,010)	(206,010)
31 დეკემბერი 2019		1,235,652	6,670,055	7,905,707
წლის ზარალი		-	(693,201)	(693,201)
გადახდილი დივიდენდი	15	-	(295,790)	(295,790)
31 დეკემბერი 2020		1,235,652	5,681,064	6,916,716

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 24 სექტემბერს


 გოდერძი მიქავა
 დირექტორი


 დავით გოდერძიშვილი
 დირექტორი


 ცისანა გამბიტაშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შპს „იბოლია“
 ფინანსური ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

		2020	2019
	შენიშვნა	ლარი	ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
(ზარალი) / მოგება დაბეგვრამდე		(674,432)	1,196,651
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	10	1,714,691	1,534,531
ცვლილება რეზერვებში	13	137,109	27,702
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება		(305,292)	(338,621)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა		14,530	170,765
კურსთაშორის ზარალი		10,621	28,339
საპროცენტი ხარჯი	7	103,999	146,709
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	13	(1,020,907)	(1,076,933)
მარაგების შემცირება	12	51,778	824,367
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა / (შემცირება)		145,615	(322,277)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა / (შემცირება)	16	353,331	(1,168,834)
სულ ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში		531,043	1,022,399
გადახდილი პროცენტი	7	(103,999)	(146,709)
გადახდილი მოგების გადასახადი	9	(18,769)	(18,701)
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ფული		408,275	856,989
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების შეძენა	10	(1,657,694)	(4,577,161)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	10	86,633	1,022,336
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფული		(1,571,061)	(3,554,825)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხების წმინდა ცვლილება	17	1,392,187	2,156,789
ფინანსური იჯარის წმინდა ცვლილება	18	353,734	(434,647)
გადახდილი დივიდენდები	15	(295,790)	(206,010)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფული		1,450,131	1,516,132
ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა (შემცირება)		287,345	(1,181,706)
მოდრაობა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში			
წლის დასაწყისში	14	879,688	2,061,394
ზრდა (შემცირება)		287,345	(1,181,706)
წლის ბოლოს	14	1,167,033	879,688

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 24 სექტემბერს

გოდერძი მიქავა
 დირექტორი

დავით გოდერძიშვილი
 დირექტორი


ცისანა გამხიტაშვილი
 მთავარი ბუღალტერი


შპს „იბოლია“
 ფინანსური ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 ქართულ ლარში


ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

		2020	2019
	შენიშვნა	ლარი	ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
(ზარალი) / მოგება დაბეგვრამდე		(674,432)	1,196,651
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	10	1,714,691	1,534,531
ცვლილება რეზერვებში	13	137,109	27,702
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება		(305,292)	(338,621)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა		14,530	170,765
კურსთაშორის ზარალი		10,621	28,339
საპროცენტი ხარჯი	7	103,999	146,709
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	13	(1,020,907)	(1,076,933)
მარაგების შემცირება	12	51,778	824,367
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა / (შემცირება)		145,615	(322,277)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა / (შემცირება)	16	353,331	(1,168,834)
სულ ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში		531,043	1,022,399
გადახდილი პროცენტი	7	(103,999)	(146,709)
გადახდილი მოგების გადასახადი	9	(18,769)	(18,701)
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ფული		408,275	856,989
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების შეძენა	10	(1,657,694)	(4,577,161)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	10	86,633	1,022,336
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფული		(1,571,061)	(3,554,825)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხების წმინდა ცვლილება	17	1,392,187	2,156,789
ფინანსური იჯარის წმინდა ცვლილება	18	353,734	(434,647)
გადახდილი დივიდენდები	15	(295,790)	(206,010)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფული		1,450,131	1,516,132
ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა (შემცირება)		287,345	(1,181,706)
მოძრაობა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში			
წლის დასაწყისში	14	879,688	2,061,394
ზრდა (შემცირება)		287,345	(1,181,706)
წლის ბოლოს	14	1,167,033	879,688

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 24 სექტემბერს


 გოდერძიშვილი
 დირექტორი


 დავით გოდერძიშვილი
 დირექტორი


 ცისანა გამბიტაშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შპს „იბოლია“
ფინანსური ანგარიშგება განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იბოლია“ (შემდგომში - „კომპანია“) დაფუძნებულია 1995 წლის 29 დეკემბერს. კომპანია დარეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 პუნქტის თანახმად. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგზაო ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, მათ შორის: გზების, ხიდების, ნაპირგამაგრებითი ნაგებობების მოდერნიზაცია და რეაბილიტაცია, გზების პერიოდული რემონტი და შენახვა. ძირითადი დამკვეთი არის სსიპ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი და მუნიციპალიტეტები. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, გორი, ცხინვალის გზატკეცილი მე-3 კმ.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელებს წარმოადგენდნენ:

მაკრახიძე იოსებ - 40%
მაკრახიძე ოფელია - 15%
მაკრახიძე მარიანა - 15%
მიქავა გოდერძი - 10%
მიქავა ნინო - 5%
მიქავა თამარ - 5%
მიქავა ელისო - 5%
მიქავა პაატა - 5%

2 მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფას სტანდარტები“) საფუძველზე.

ფინანსური ინსტრუმენტები

მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

სასესხო ხარჯები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ დანახარჯებში, როდესაც გაწეული იქნა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. თანხები, რომელთა გატანაც დეპონირებიდან სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეიძლება, არ მიეკუთვნება ფულს და ფულად ეკვივალენტებს. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა

შპს „იბოლია“
ფინანსური ანგარიშგება განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

(ა) შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან

სამშენებლო კონტრაქტებისთვის როდესაც შედეგი შეიძლება საიმედოდ შეფასდეს, შემოსავლები და ხარჯები აღიარდება შედეგების მეთოდით.

საკონტრაქტო შემოსავალი მოიცავს კლიენტთან შეთანხმებულ კონტრაქტის ღირებულებას მათ შორის კონტრაქტის ცვლილებებს და მის შედეგებს თუ მისი შეფასება შესაძლებელია საიმედოდ (ჯარიმები/პრეტენზიები როგორც კლიენტის ასევე კომპანიის მხრიდან).

იმ შემთხვევაში როდესაც შედეგის შეფასება საიმედოდ არ არის შესაძლებელი, კონტრაქტიდან შემოსავალი აღიარდება იმ გაწეული ხარჯების ტოლი რაოდენობით, რომელიც გაიწია მოცემულ პერიოდში და რომლის ამოღებაც მოსალოდნელია მომავალში.

კონტრაქტების გადახედვა ხდება რეგულარულად და იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდება წამგებიანი კონტრაქტი ზარალი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში როდესაც მოხდა მისი გამოვლენა.

იმ შემთხვევაში თუ მოსალოდნელი აღარ არის იმ თანხის ამოღება, რომელიც კომპანიას უკვე აღიარებული აქვს როგორც საკონტრაქტო ამონაგები, კომპანია მიუღებელ თანხას აღიარებს, როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯად და არა როგორც საკონტრაქტო ამონაგების კორექტირებად.

კომპანია დამკვეთის მიერ დაკავებულ თანხებს აღრიცხავს როგორც მოთხოვნებს დასახელებით - „დამკვეთისგან მისაღები დაკავებული თანხები“, ხოლო სხვა სახის მისაღებ თანხებს რომელიც კომპანიას აქვს მისაღები შესრულებული სამუშაოდან გამომდინარე - „სამშენებლო კონტრაქტებიდან მისაღები თანხები“.

დამკვეთების მიერ შესრულებულ სამუშაოზე ზედმეტად გადახდილ თანხებს კომპანია აღრიცხავს როგორც ვალდებულებას კონტრაქტებიდან ან როგორც მიღებულ ავანსს.

(ბ) შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

(გ) შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება შესრულებული ოპერაციის შესრულების სტადიის მიხედვით, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

- შემოსავლის ოდენობის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოსალოდნელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის შემოსვლა ერთეულში;
- შესაძლებელია მომსახურების გაწევის ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო თარიღისთვის;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისთვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება

შპს „იბოლია“
ფინანსური ანგარიშგება განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

(დ) შემოსავალი იჯარებიდან

შემოსავლები იჯარიდან წარმოადგენს მოძრავი ქონების გაქირავებით მიღებულ შემოსავლებს.

(ე) საოპერაციო ხარჯები

თანამშრომელთა ხარჯი - დარიცხული ხელფასის, ბონუსების და არაფულადი სარგებლის დარიცხვა ხდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც თანამშრომლების მიერ გაიწევა შესაბამისი მომსახურება.

იჯარები

იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მეიჯარიდან მოიჯარესთვის. საიჯარო გადასახდელები აღიარდება პერიოდის ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსური იჯარა

იჯარა, რომელიც გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას, მოიჯარის მიერ იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებისთვის მეიჯარისთვის განხორციელებული გადახდები, გარდა ცვლადი საიჯარო გადახდებისა.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიას სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბერს	3,27	4,02
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს	2,86	3,20

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგრის სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

შპს „იბოლია“
ფინანსური ანგარიშგება განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება კომპანიას დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას, ასევე, არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვს შორის სხვაობით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივებზე, მოხმარებული ნაწილის ღირებულების შემცირებით, შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. შენობებზე გამოიყენება წლიური 5%-იანი ცვეთის განაკვეთი, სატრანსპორტო საშუალებებსა და მანქანა-დანადგარებზე - წლიური 8%-დან 20%-მდე, ხოლო საოფისე აღჭურვილობაზე - წლიური 14%-დან 50%-მდე განაკვეთი.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის მასშტაბი.

არამატერიალური აქტივები

ორგანიზაციის არამატერიალურ აქტივებს აქვს განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და უმთავრესად მოიცავს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიებს.

შემენილ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიებს ერიცხება ამორტიზაცია შემცირებადი ნაშთის გამოყენების მეთოდით წლიური 15% ოდენობით.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. დასრულებულ და მიმდინარე პროექტების ღირებულება მოიცავს სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულებას, პირდაპირ სახელფასო და სხვა ხარჯებს გარდა მიღებული სესხებისა.

3 მნიშვნელოვანი შეფასებები

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა (მაგალითად, შემოსავლის აღიარება, ცვეთის და ამორტიზაციის ნორმების განსაზღვრა, უიმედო ვალების ანარიცხის განსაზღვრა), რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

შპს „იბოლია“
ფინანსური ანგარიშგება განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ქართულ ლარში

4 შემოსავლები, გაწეული მომსახურების და რეალიზირებული პროდუქციის თვითღირებულება

	2020	2019
შემოსავალი მომსახურებიდან	9,473,681	20,854,174
შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან	8,705,509	4,325,403
შემოსავალი მასალების რეალიზაციიდან	1,929,596	2,801,325
სულ შემოსავალი	20,108,786	27,980,902
მომსახურებაზე გაწეული ხარჯები	(9,634,143)	(19,379,571)
სამშენებლო კონტრაქტებზე გაწეული ხარჯები	(9,114,559)	(3,773,134)
რეალიზებული მასალების თვითღირებულება	(1,300,144)	(2,673,956)
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება**	(20,048,846)	(25,826,661)
საოპერაციო მოგება	59,940	2,154,241

**რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2020	2019
მასალების ხარჯი	8,647,673	11,509,139
ქვეკონტრაქტორების ხარჯი	4,358,918	6,015,687
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	1,300,144	2,673,956
პირდაპირი ხელფასები	3,782,503	3,649,717
პირდაპირი ცვეთის ხარჯი	1,656,684	1,484,755
კომუნალური ხარჯი	114,982	374,712
შეკეთების ხარჯი	121,619	107,427
პირდაპირი იჯარის ხარჯი	41,475	-
სხვა მცირეფასიანი ხარჯები	24,848	11,268
სულ	20,048,846	25,826,661

პროექტების ანალიზი 2020 წლისათვის ნაჩვენებია ქვემოთ:

	მშენებლობა	სხვა მომსახურება	მოვლა-შენახვა 11 ზონა	სულ
მშენებლობის პროექტები აკუმულირებულ ჭრილში				
დღემდე აღიარებული სამშენებლო კონტრაქტების ხარჯები	23,178,052	13,347,800	13,845,686	50,371,538
საანგარიშგებო პერიოდამდე აღიარებული მოგება	1,179,842	(620,273)	2,362,709	2,922,279
